შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის სხდომა

20 ნოემბერი, 2022 წელი

კომიტეტის სხდომის ოქმი

<u>კომიტეტის სხდომის თავმჯდომარე:</u> ნიკო თათულაშვილი - საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, კომიტეტის თავმჯდომარე

<u>კომიტეტის სხდომის მდივანი:</u> გულიკო მაჭარაშვილი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს სპეციალისტი;

<u>დანართები:</u>

დანართი N1. სხდომის დღის წესრიგი;

დანართი N2. დამსწრე პირთა სია.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, კომიტეტის თავმჯდომარემ, **ნიკო თათულაშვილმა,** რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, კომიტეტის წევრებს, კომიტეტის საკონსულტაციო საბჭოს წარმომადგენლებს და მადლობა გადაუხადა ინტერესისა და სხდომაზე დასწრებისთვის. კომიტეტის თავმჯდომარემ მოკლედ მიმოიხილა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო შშმ პირთა უფლებების შესახებ სამინისტროთა სამოქმედო გეგმების 2021 წლის შესრულების ანგარიშს, რომელიც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ანგარიში მოისმინა 10-ზე მეტმა კომიტეტმა. მიმდინარე წელს კი კვლავ უწევს კოორდინაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია სამოქმედო გეგმების დამტკიცებას როგორც სახელმწიფო უწყებებში, ისე მუნიციპალიტეტებში. კომიტეტის თავმჯდომარემ გაამახვილა ყურადღება ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაზე, სადაც ასახულია მნიშვნელოვანი მიზნები შშმ პირთა უფლებების შესახებ. მომხსენებლის თქმით, ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის გაწერის პროცესში დიდი ყურადღება მიექცევა საკონსულტაციო საბჭოს ჩართულობას. კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში, აქტიურად დაიგეგმება საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრები კონკრეტული მიმართულების პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლებთან, ვინაიდან მნიშვნელოვანია საბჭოს წევრებს ჰქონდეთ პირდაპირი შესაძლებლობა ჩაერთონ სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვის პროცესში. ნიკო თათულაშვილმა კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა დამსწრე წევრებს და სიტყვა გადასცა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრს, რატი იონათამიშვილს.

სიტყვა გადაეცა საქართველოს პარლამენტის წევრს, **რატი იონათამიშვილს,** რომელიც მიესალმა კომიტეტის წევრებს, საკონსულტაციო საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას. რატი იონათამიშვილმა აღნიშნა, რომ 2022 წელი შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით საკმაოდ აქტიური და ნაყოფიერი იყო როგორც ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე ადგილობრივი ხელისუფლების და საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის გათვალისწინებით. უპირველესად, აღსანიშნავია შშმ პირთათვის სოციალური პაკეტის ინდექსაციის საკითხი, რომელიც ყველა კატეგორიის შშმ პირისთვის იმოქმედებს. მნიშვნელოვან საკითხთა შორის, აღინიშნა პერსონალური ასისტენტის პროგრამაზე მუშაობა და შშმ პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის ხელშეწყობა. რატი იონათამიშვილმა აღნიშნა, რომ უსინათლო და მცირემხედველი ადამიანებისთვის სამართლებრივ გარანტიებზე მუშაობა საქართველოს პარლამენტისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენდა და სამართლებრივი გარიგებების დადების კუთხით, შშმ პირთა ჩართულობით მნიშვნელოვანი სამუშაო გაიწია. გარდა ამისა, სახელმწიფო მუშაობს სამართლებრივ დოკუმენტებში დისკრიმინაციული ტერმინების შეცვლაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შშმ პირთა უფლებების შესახებ სამოქმედო გეგმების ანგარიშის წარდგენა საქართველოს მთავრობის მიერ, საქართველოს პარლამენტში, მნიშვნელოვანი ნაბიჯია და აღნიშნული პრაქტიკა ხელს შეუწყობს სამოქმედო გეგმების დახვეწასა და შესრულების სტანდარტს. გამოსვლის ბოლოს, მომხსენებელმა მადლობა გადაუხადა კომიტეტის თავმჯდომარეს გაწეული საქმიანობისთვის და კომიტეტს წარმატება უსურვა.

მისალმების პანელის შემდეგ, სიტყვა გადაეცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს, **თამილა ბარკალაიას.** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინა წლებთან შედარებით, მართალია პროგრესი არსებობს, თუმცაღა არსებობს გამოწვევებიც, რომელთა გადაჭრაზეც აქტიურად უნდა იმუშაოს სახელმწიფომ. კომიტეტი ნამდვილად არის მნიშვნელოვანი დამატებითი მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო იზრუნებს იმ სერვისების გაუმჯობესებაზე, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს შშმ პირებს. მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული ცვლილებით, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა სოციალური პაკეტი ინდექსაციის წესით გაანგარიშდება. შესაბამის ცვლილებას „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონი განსაზღვრავს, რომლის თანახმადაც შემოღებული იქნა სოციალური პაკეტის ინდექსაციის იგივე პრინციპი, რაც 2021 წლიდან ასაკობრივი პენსიონერებისთვის მოქმედებს. აღნიშნულზე დაყრდნობით, მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ სამინისტრო პარლამენტთან და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან ერთად აქტიურად მუშაობს შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით და ამ პროცესში მთავრობის ადმინისტრაციის სრული მხარდაჭერა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. მომხსენებელმა ასევე მიმოიხილა ჯანდაცვის სერვისების მიმართულება და აღნიშნა, რომ რეგიონში სერვისების მიწოდება წარმოადგენს პრიორიტეტს და გამოწვევას. მისი თქმით, სერვისებზე რიგების არსებობა ყოველთვის წარმოადგენდა პრობლემას, თუმცა წელს მოხერხდა ის, რომ რიგები თითქმის განულდა გარდა ერთი პროგრამისა - ადრეული განვითარების სერვისისა, რა მიმართულებითაც, სამინისტრო სხვა სამინისტროებთან ერთად აქტიურად მუშაობს. ადრეული განვითარების სპეციალისტების არსებობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს და ამ მიმართულებით, სახელმწიფო განაგრძობს მუშაობას. აღსანიშნავია, რომ მომავალი წლიდან ამოქმედდება პერსონალური ასისტენტისა და შინმოვლის სერვისები, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. გამოსვლის ბოლოს, მომხსენებელმა გამოთქვა იმედი, რომ კომიტეტის ფარგლებში ერთობლივი მუშაობა არაერთი სასარგებლო ცვლილების საწინდარი გახდება.

სიტყვა გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს, **მზია გიორგობიანს,** რომელმაც აღნიშნა, რომ კანონის შესაბამისად, სამინისტრო კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს მუნიციპალიტეტების კანონით განსაზღვრულ საქმიანობას შშმ პირთა უფლებების კუთხით, როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური მიმართულებით. სამინისტრომ მოამზადა და გაუზიარა მუნიციპალიტეტებს სამოქმედო გეგმების სამოდელო ვერსიები, რომელიც დაიხვეწა და დამტკიცდა მუნიციპალიტეტების მიერ. სამინისტრო უზრუნველყოფს სამინისტროს თანამშრომელთა გადამზადებას და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერას შესაბამისი მიმართულებით, ავრცელებს შშმ პირთა უფლებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და მუშაობს ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სერვისების მიწოდება ადგილობრივ დონეზე ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მოქალაქეებს შესაბამისი სერვისის მიღებაში. განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია ელექტრონული სერვისების განვითარება მაღალმთიან დასახლებებში. მზია გიორგობიანის თქმით, ადგილობრივ დონეზე შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე საბჭოები მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ და ამ კუთხით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. მომხსენებელმა დეტალურად

ისაუბრა მისაწვდომ ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობებზე.

სიტყვა გადაეცა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელ დირექტორს, **გოგიტა თოდრაძეს,** რომელმაც საკუთარ გამოსვლაში ყურადღება დაუთმო ორ მიმართულებას - სტატისტიკა შშმ პირებისთვის და სტატისტიკა შშმ პირების შესახებ. მომხსენებლის თქმით, ორივე მიმართულებით ვალდებულებები გაწერილია საქსტატის სამოქმედო გეგმით და უწყება მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს აღნიშნული ვალდებულებების შესრულებას. მიმდინარე წელს საქსტატმა არსებული და პოტენციური ადმინისტრაციული წყაროების იდენტიფიცირება განახორციელა, რომელიც ხელს შეუწყობს სტატისტიკის დახვეწასა და განვითარებას. კიდევ ერთი მიმართულება, რომელზეც საქსტატი მუშაობს, არის დამატებითი მაჩვენებლების წარმოება და გავრცელება და ასევე, მონაცემებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. რაც შეეხება უშუალოდ საქსტატის ვებ-გვერდს, მომხსენებლის თქმით, ოფიციალური საიტი მისაწვდომია და მას დაემატა მნიშვნელოვანი ფუნქციონალები. მიმდინარე პერიოდში იგეგმება სხვადასხვა სტატისტიკური პორტალის მისაწვდომობის უზრუნველყოფა. შშმ პირთა სტატისტიკა ხელმისაწვდომია მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, თუმცა, მომდევნო საყოველთაო აღწერა მნიშვნელოვნად რეალური შედეგის დანახვის საშუალება იქნება, რის გამოყენებითაც სახელმწიფოს ექნება გაცილებით ზუსტი ცოდნა შშმ პირთა რიცხოვნობის შესახებ. გამოსვლის ბოლოს, გოგიტა თოდრაძემ ისაუბრა პორტალზე შშმ პირების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს როგორც სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებისთვის, ისე თავად შშმ პირებისთვის, საჭირო ინფორმაციის მიღებისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით.

სიტყვა გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, **ალექსანდრე დარახველიძეს,** რომელმაც აღნიშნა, რომ შშმ პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ, სამინისტრომ შექმნა საკონსულტაციო ჯგუფი, სადაც შშმ პირები და ორგანიზაციებიც არიან ჩართულნი და მათთან გადაწყვეტილების მიღების პროცესში იმართება კონსულტაციები. მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ სამინისტრო მუშაობს შშმ პირთა უფლებების შესახებ ხუთწლიან სტრატეგიაზე, რომლის პირველ ეტაპზეც, შესწავლილ იქნა გამოწვევები და ანალიზის საფუძველზე დაიგეგმა სამომავლო ნაბიჯები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამართალდაცვითი ფუნქციების გარდა, სამინისტრო ავითარებს და მისაწვდომს ხდის სერვისებსაც. მიმდინარე წელს გადამზადდა 2000-ზე მეტი პატრულ-ინსპექტორი შშმ პირებთან ურთიერთობის მიმართულებით. შემუშავდა სასწავლო მოდელი შშმ პირების უფლებებთან დაკავშირებით, რომელიც საბოლოოდ დაინერგება პოლიციის აკადემიაში. დამტკიცდა გამოკითხვის პროცესში შშმ პირებთან მუშაობის სტანდარტები, რომელსაც იყენებენ გამომძიებლები. აღსანიშნავია, რომ მომსახურების ცენტრი სრულად არის ადაპტირებული და გადამზადებული თანამშრომლები ფლობენ ჟესტურ ენას. გამოსვლის ბოლოს, მინისტრის მოადგილემ გამოთქვა მზაობა სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებით.

აღნიშნულის შემდგომ გაიხსნა დისკუსიის პანელი, სადაც კითხვები დასვეს კომიტეტის საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა. დისკუსიისა და მსჯელობის ეტაპს დაეთმო მნიშვნელოვანი ყურადღება, რის შემდეგაც კომიტეტის თავმჯდომარემ, **ნიკო თათულაშვილმა** მადლობა გადაუხადა დამსწრეებს, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს, სახალხო დამცველის წარმომადგენელს, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს თანამონაწილეობისთვის და გამოთქმული

მოსაზრებებისთვის. მან ასევე იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული თანამშრომლობა განგრძობად, აქტიურ და ეფექტურ ხასიათს მიიღებს და სხდომა დახურულად გამოაცხადა

დანართი N1 - დღის წესრიგი

ევროკავშირი საქართველოსთვის

Project funded by the European Union

UNPRPD Partnership on the Rights of Persons with Disabilities

UNITED NATIONS HUMAN RIGHTS OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER

UNDP

საქართველოს მთავრობის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი კომიტეტის სხდომა

20 ნოემბერი

11:00–11:15	**გახსნითი სიტყვა, სხდომის გახსნა** **ნიკო თათულაშვილი** - პრემიერ მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში, კომიტეტის თავმჯდომარე
11:15–11:30	**შეზღუდული შესაძლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური მომსახურებები, მიღწევები, გამოწვევები** **თამილა ბარკალაია** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე
11:30–11:45	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმები ადგილობრივ დონეზე, მიღწევები და გამოწვევები** **მზია გიორგობიანი** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე
11:45–12:00	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა - მიღწევები და გამოწვევები**

	რატი იონათამიშვილი - საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრი
12:00-12:15	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატისტიკა, მიღწევები, გამოწვევები** **გოგიტა თოდრაძე** - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დირექტორი
12:15-13:15	**საკონსულტაციო საბჭოს წევრების ჩართულობა, დისკუსია**
13:15-13:30	**სხდომის შეჯამება**
14:00	*სადილი*

დანართი N2 დამსწრე პირთა სია

სახელმწიფო უწყება/ორგანიზაცია	დამსწრე პირი
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში	ნიკო თათულაშვილი
საქართველოს პარლამენტი	რატი იონათამიშვილი
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	თამილა ბარკალაია
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	მზია გიორგობიანი
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	ალექსანდრე დარახველიძე
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	თეიმურაზ მღებრიშვილი
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	მიხეილ კეკენაძე
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	სიმონ პეტრიდისი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტრო	მარიამ ბეგოიძე
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	ნათია ჯალიაშვილი
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	მარიამ ლაფანაშვილი
საქართველოს სოფლის მეურნეობისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ნატო მაჭარაშვილი
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	გოგიტა თოდრაძე
სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	რაჟდენ კუპრაშვილი
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	მერაბ გამყრელიძე

საჯარო სამსახურის ბიურო	მაია დვალიშვილი
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	ირინა ობოლაძე
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	ინგა ტერაშვილი
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	თამარ კურტანიძე
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ადამიანის უფლებათა სამდივნო	გულიკო მაჭარაშვილი
კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო	ლია ტაბატაძე
კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო	ნინო გულუა
კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო	ია ბახტურიძე
კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო	დავით ბიბილეიშვილი
კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო	ირმა ბარაბაძე
კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო	თამარ მაჭარაშვილი
კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო	მარიამ ჯანიაშვილი
კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო	გიორგი ენუქიძე
კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო	ნონა კენჭუაშვილი
კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო	ანა გაზაშვილი
კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო	ნანა ლომაძე
კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო	ნათია შარვაძე
კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო	ირაკლი სეფერთელაძე
კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო	ბადრი ბატატუნაშვილი
კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო	მაია მეტონიძე
კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო	როლანდ ასაკაშვილი
კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო	ესმა გუმბერიძე
კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო	ცირა ბარქაია